ქერილ ჩერჩილი

სიყვარული და ინფორმაცია

ინგლისურიდან თარგმნა გუგა მგელაძემ

მთარგმნელის წინასიტყვაობა

ქერილ ჩერჩილის ,, სიყვარული და ინფორმაცია" 2012 წელს დაიდგა ,,როიალ ქორთში" ჯეიმს მაკდონალდის მიერ. ამ, აგრესიულად ექსპერიმენტული, ტექსტის თავისებურება მდგომარეობს შემდეგში:

1. *დარღვეულია კლასიკური დრამატურგიული ტექსტის ფუნქცნიონირების ყველა კომპონენტი: ექსპოზიცია, კვანძის შეკვრა, კულმინაცია, კვანძის გახსნა, ფინალი. აქ არ გვეუფლება არც ე.წ. ,,სასპენსის" განცდა.*
2. *სრულადაა მოშლილი დრო-სივრცული მარკერები. არ ყავს ,ჩვეულებრივი" პერსონაჟები (ჩვენ არც მათი სქესის და ასაკი შესახებ ვფლობთ ინფორმაციას.)*
3. *პიესა დაყოფილია 7 სექციად. ყოველ მათგანი შედგება შვიდ-შვიდი სხვადასხვა ამბისგან.*
4. *ტექსტს თან ერთვის დამატებითი სცენები (,,სხვადასხვა"), რომელთა ჩასმა ნებისმიერ სექციაშია შესაძლებელი.*
5. *დრამატურგი სრულ თავისუფლებას აძლევს რეჟისორს - ცვალოს პერსონაჟები, ,,ამოაგდოს" კონკრეტული სცენები თავისი გემოვნების, სურვილის და ,,ამოცანის" მიხედვით, თუმცა არავითარ შემთხვევაში არ უნდა დაირღვეს სექციათა მიმდევრობა.*

,,სიყვარული და ინფორმაცია ურთულესი ტექსტია თავისი სტრუქტურირებული ქაოსის, ახალი საკომუნიკაციო ენისა და ადამიანური ქცევების მრავალსახოვანი მოდელის კვლევის გათვალისწინებითაც.

შეიძლება ითქვას ასეც: თანამედროვე ბრიტანული (პრინციპში, მსოფლიო) დრამატურგიის ერთ-ერთმა საუკეთესო წარმომადგენელმა პიესაში პოსტპანდემიური თეატრის ენაც კი იწინასწარმეტყველა. ამის დასტურია შარშანდელი წარმოდგენა (იხ. ლინკი: https://www.youtube.com/watch?v=VHa81KC1YTE), რომელშიც ზუმის ფორმატი ორგანულად ჯდება ჩერჩილის მულტიჟანრული ამბების კალეიდოსკოპის კონტექსტში.

1.

საიდუმლო

 გთხოვ მითხარი რა

არა

ხომ იცი რომ...

ნუ მთხოვ

არავის არ ვეტყვი

არა

არა აქვს ჩემთვის არსებითი მნიშვნელობა, რის...

არ ვაპირებ

 მირჩევნია მოვკვდე ვიდრე ხმა ამოვიღო

იტყვი

არ ვიტყვი

 მგონი ხვდები რა საშინელების თქმასაც ვაპირებ არ შემიძლია

მაინც მითხარი

არა

თუ არ მეტყვი ეს საიდუმლო ჩვენს შორის მაინც იარსებებს

გეყოფა

თუ ეს საიდუმლო იარსებებს ჩვენ არ...

გეყოფა მეთქი!

აღარ ვართ ერთად ასე რომ აღარ შეგვ...

მაგრამ სხვებმა   ყველაფერი მაინც არ იციან

ხო მაგრამ ეს ხომ დიდი საიდუმლოა

არაა

ხოდა მითხარი

 აღარ მოკეტავ?!

დიდი საიდუმლოა და ამიტომაც არ მიმხელ

არა

იმას ხომ არ ეხება შენ რომ...

აზრი არა აქვს გამოცნობანას

ან იმას, რაც გინდოდა რომ...

 გთხოვ!

ან რაც ნახე ან გაიგონე ან იცი

გთხოვ მეთქი!

თუ უკვე ჩადენილს გულისხმობ დანაშაული იქნება ან ცოდვა ან რამე გამაღიზიანებელი...

არ მინდა ამის შესახებ რამე იცოდე

კარგი.

კარგი ხო გეტყვი

არ ხარ ვალდებული

გეტყვი

მითხარი ხომ იცი არ...

ეგ არც მიფიქრია...

მითხარი მე ყოველთვის...

 გასაგებია. გეტყვი.

ეუბნება ჩურჩულით

არა

კი

აარა

ხომ გაგაფრთხილე

 ეს ხომ...

ეგრეა, კი

ხო მაგრამ...

ეგრეა, ეგრე

როგორ გაბედე

გავბედე

ახლა რა მოხდება? ახლა რა მოხდება? ახლა რა მოხდება?

აღწერა

რაში სჭირდებათ ეს ყველაფერი?

კვლევას ატარებენ, რაც რეალურად

მათი პოლიტიკის ნაწილია. ხალხს ეხმარებიან.

არა, ამ გზით იმ ნივთებს გვტენიან, რაც არ გვჭირდება. არც ერთი კითხვისთვის პასუხი არ გამიცა. მე უბრალოდ ვთქვი: ,,არა, მადლობელი ვარ''. რა საჭიროა მათი გინება.

ცუდად გამომივიდა.

პრობლემები შეგექმნებოდა, ეგრე რომ არ მოქცეულიყავი

როგორ გაიგებდნენ

იციან, რომ არსებობ.

ფანი

ვგიჟდები ისე მიყვარს

შენზე მეტადაც კი

ფანჯრიდან გადავხტები

ცეცხლს გადავყლაპავ

ხელს მოვიჭრი

ძაღლის მძღნერს შევჭამ

დედაჩემს მოვკლავ

კატის საკვებს გადავყლაპავ

უიმე!

უბრალოდ მინდა შევეხო

ცეცხლსაც ვშთანთქავ

უბრალოდ მინდა ვესაუბრო

უბრალოდ შევხედო მინდა

თავადაც რომ დამინახოს

ის ხომ ორის ათ წუთზე დაიბადა აი მე კი ათის ორ წუთზე

საიდან იცი?

დედაჩემმა მითხრა

ათის ორ წუთზე

მან თქვა, რომ ათის მერე გავჩნდი, ესე იგი...

ცდები

არ ვცდები ათის ორი წუთი გამოდის

მოკლედ ის სამშაბათს დაიბადა მე ოთხშაბათს შენ კი პარასკევს

რა სისულელეა

მისი საყვარელი ფერია ლურჯი

საყვარელი საკვები ჩილი

ცხოველებიდან გველები უყვარს

საყვარელი არდადეგები ბერმუდში გაატარა

რისი სუნი მოსწონს ყველაზე მეტად?

ვარდების

ნუ იგონებ

რა გინდა?

 მგონი შეკითხვა დავსვი

არ იცი თუ იცი აბა   მითხარი

შენ მითხარი

 მე რა ვიცი შენ გეკითხები

კაი ხო არ ვიცი და მოდი ერთად გავარკვიოთ

ესე იგი არცერთმა არ ვიცით?

არაუშავს გავარკვიოთ

ვერ ვიჯერებ არც ერთმა თუ არ ვიცოდით

სადღაც აქ უნდა იყოს

არადა მახსოვდა

მოიცადე

წიწილა ხომ არა?

მოიცადე

ვერ იპოვი

არ შემიძლია

მოდი მე ვცდი

ვერ ნახავ

მოიცადე

ვერ ვპოულობ

მოიცადე

ხომ ხედავ ვერ პოულობ

როგორ მოვიქცეთ?

გადავწყვიტოთ

ვერ დავიძინებ

ხოდა, რას ვაპირებთ?

წამება

დამღალა

შეისვენე

შეხვალ?

სიგარეტს მივცემ

არ არის საუბრისთვის მზად

მეგონა გუშინვე მივიყვანდით საქმეს ბოლომდე

მეც მეგონა მაგრამ აღარ შეუძლია

შეძლებს

სიმართლე რომ გითხრა მცდელობისთვის ზედმეტს არ გადაგვიხდიან

სიგარეტს მივცემ ვიდრე შენ აქ ეწევი და ვეტყვი რომ დაბრუნდები

ლაბორატორია

მაშ ასე, კვერცხებს ლაბორატორიაში ვათავსებთ ხოლმე

ვინ გამარაგებთ

მეფრინველეები გვაწვდიან ინკუბატორებიდან

ესე იგი, ქათმებს ინტენსიურად ამრავლებთ ხოლმე

დიახ, ნაწილი ფერმაში რჩება, თუმცა ნებისმიერ შემთხვევაში,

ნებისმიერ შემთხვევაში

12 კვირის მერე იპუტება და იგზავნება

სუპერმარკეტში

ან ხვდება პირდაპირ სამზარეულოს მაგიდაზე

გამოდის, რომ არ კლავთ

ვკლავ

რომ არ მოკლათ ისინი ხომ შეძლებენ დიდხანს

ვერა, დიდხანს ვერ იცოცხლებენ წიწილები

ესე იგი, იღებთ წიწილებს და

დიახ, სულ ერთი დღის არიან, თან ისეთი ფუმფულა და საყვარლები

  მათზე ექსპერიმენტებს ატარებთ?

ჩვენ უბრალოდ კენკვას ვასწავლით

მათ ხომ ისედაც იციან კენკვა

საქმე იმაშია, რომ ისინი ყველაფერს კენკავენ. ჩვენ კი მხოლოდ წყალში ან მომწარო ნივთიერებაში ჩაგდებული მძივის მარცვლების კენკვას ვასწავლით

იმედია, სითხეს არ წამლავთ ხოლმე

არა. ეს მხოლოდ იმიტომაა საჭირო, რომ მერე ნისკარტები მიწაზე გაიწმინდონ. პროცესს, ცხადია, ვაკვირდებით და ვინიშნავთ რომელმა წიწილამ რამდენი მძივი ამოიღო წყლიდან. ამის შემდეგ, ყოველ მათგანს ჩვენი ასისტენტი მსუბუქად რადიოაქტიურ სითხეს უშხაპუნებს ხოლმე ტვინის ნახევარსფეროში, რათა

შეწყვიტეთ, საკმარისია

მესმის, მაგრამ ვერც კი...

არ არის, ესე იგი, მტკივნეული

არანაირად

მითხარით მაშინ ამას რა მიზნით აკეთებთ?

ნივთიერება შაქარს შეიცავს, რომელიც საჭიროა ნერვული უჯრედებისთვის. მეტი შაქრის მიწოდების შემთხვევაში ტვინის აქტივობაც იზრდება. ამდენად, რადიოაქტიურობა სპეციალური ხელსაწყობს ფუნქციასაც ითავსებს, რისი მეშვეობითაც შეგიძლია გამოთვალო და გამჭირვალედ დაინახო ტვინში შაქრის მდგომარეობა

პრინციპი კი იმაში მდგომარეობს, რომ სხვადასხვა დროს სხვადასხვა

ვიმედოვნებთ, რომ მუდმივად ცვალებადი იქნება

ეს კი მხოლოდ იმაზეა დამოკიდებული, რა აითვისეს

დიახ. ჩვენ მათ ხელახლა ვურიგებთ მძივის მარცვლებს. ისინი კი ცნობენ და კენკვას იწყებენ, თუმცა ნაწილი

არ კენკავს

მწარე მძივებს არ ეკარებიან

საშინელებაა

ხო, მაგრამ ეს ის არ არის რასაც ჩვენ ვიკვლევთ. კვლევის მთავარი საკითხი

ტვინში წარმოქმნილი ცვლილებებია

ზუსტად და თან გვაინტერესებს რა კავშირშია აღნიშნული ცვლილებები მეხსიერებასთან

ამისათვის კი

მარცხენა ხელით წიწილას ვიჭერ, მეორეში მაკრატელი მაქვს და თავს ვჭრი.

ვაიმე!

სხეულს ვედროში ვაგდებ, თავს კანს ვაფცქვნი და ტვინს ვიღებ.

იღებთ ტვინს. მერე?

ვათავსებ ყინულზე. ჩემი კოლეგა ჯერ სამართებლით აქუცმაცებს უმცირეს ნაწილებად, შემდეგ უკვე სინჯარებში გადააქვს და ყინავს. მე კი სხვა ტვინის ამოღებას ვიწყებ.

გასაგებია

სულ ესაა, რასაც ვაკეთებ.

შემდეგ კვლევას იწყებთ, არა?
დიახ და საკმაოდ მნიშვნელოვანი შედეგი გვაქვს

ზომავთ, ესე იგი

თუმცა მნიშვნელოვან შედეგებზე მეტად სწორედ ტვინიში არსებული ინფორმაციაა საინტერესო

გაჭრილ ტვინში ანუ

დიახ. როგორც კი გაყინული ტვინის ფრაგმენტებს მიკროსკოპში ვათავსებთ ვიღებთ საოცარ შედეგს

რას?

სიბნელის მიუხედავადაც დაინახავთ, თუმცა შეგიძლიათ განათება ცვალოთ, რაც გაცილებით

მშვენიერია

დიახ. მშვენიერია და თან უკეთ ამოიკითხავთ ინფორმაციას

რას გულისხმობთ?

იმას, რომ ექსპერიმენტი ჩატარდა ტვინის მარცხენა ნახევარსფეროში

და?

თუმცა სხვა გზაც არსებობს. ამ შემთხვევაში, ტვინის ნიმუში ვერცხლის სულფიდით იფარება, რის შედეგადაც შეგიძლია დენდრიტს დააკვირდე. ხომ იცი, დენდრიტის მნიშვნელობა?

კი, აი, უმცირესი ზომ...

ისეა მიკროსკოპით გადიდებული, რომ საკუთარი ფრჩხილი 250 მეტრის გეგონება

ანუ მეხსიერებასაც დავაკვირდებით

დიახ, უშუალოდ ცვლილებები ჩანს.

კერძოდ კი ის, რომ წიწილამ იცნო მძივის მარცვალი.

ძილი

ვერ ვიძინებ

ცხელი რძე გინდა?

ვერ დავლევ

წიგნი გეცადა

არ მაქვს ის რომელიც მომწონს

მაშინ იწექი და ისუნთქე

სისულეებით მაქვს თავი გამოტენილი. ჩაგეძინა?

არა. არაუშავს. ისევ ვერ იძინებ?

ავდგები და ფეისბუქზე შევალ.

პულტი

მგონი, ტელევიზორი არ გაქვთ

 იყო და გაფუჭდა. აღარ უჩვენებს.

 ლეპტოპი მოვიტანე

 წვდომის პრობლემა გექნებათ.

  სხვა რამისთვის მჭირდება. იჭერს აქ სიგნალს ?

ქალაქში მოგიწევთ ჩასვლა, თუმცა ვიღაცამ მითხრა, აქვე, გზიდან ორი მილის მოშორებით იჭერს თუ ბორცვის მიმართულებით ჩაუყვებით და ლოდზე დადგებით.

 შეგვიძლია რადიოს მოვუსმინოთ. ხომ მუშაობს?

 მგონი გაგაფრთხილეთ

ვიცი

 აქ სიმშვიდეა

მომწონს

შეგიძლიათ ქვევით ჩაისეირნოთ და გაზეთი იყიდოთ

გასაგებია

ხომ ხედავთ, დრო არ მაქვს

არ ინტერესდებით ხოლმე ამინდის პროგნოზით?

მინდა აქ ბედნიერი იყოთ

ვარ

იგრძნობთ როცა იწვიმებს.

2.

ირაციონალური

მართლა არსებობს ირაციონალური რიცხვი?

ჩემთვის კი

დარწმუნებული ხარ რომ შეგიძლია გქონდეს ირაციონალური რაოდენობის ფორთოხალი?

საგნებთან მიმართებაში არა

ვერ ვიგებ

იყო ასეთი ბერძენი პიროვნება ჰიპასუსი, რომელმაც კვადრატის დიაგონალი აღმოაჩინა და დაახრჩვეს, რადგან არავის არ სურდა ცოდნოდა მსგავსი რაღაცეები

მსგავსში რა იგულისხმე ?

მაგალითად, რიცხვები, რომლებიც გაბნევს და ვერანაირად ვერ აკავშირებ ფორთოხლებთან

ვხვდები, როგორ უნდოდათ ამის გაკეთება.

დახრჩობა?

რომ ცოდნოდა როგორ ვერ აიტანდნენ, გაჩუმდებოდა

შენც ასე იქცევი?

კავშირი

არ ვიცი უნდა გითხრა თუ არა

რა?

თუმცა შენ უფრო ხარ ჩემი მეგობარი, ვიდრე ის.

რა ხდება?

რა უფრო უკეთესია: რაღაცეების ცოდნა თუ არცოდნა? იქნებ ისე უნდა აღიქვა, როგორც თავად გგონია, რადგან თუ ვინმე სხვანაირად გეტყვის, ყველაფერი შეიცვლება, რაც ნამდვილად არ გაწყობს,ხო? არ ვიცი, ეს სხვის საქმეში ცხვირის ჩაყოფაა თუ უბრალოდ მეგობრის ვალდებულებაა?

თავადაც ხვდები რომ მაინც მოგიწევს თქმა

ზოგიერთი იმასაც კი იტყვის არ უნდა გეთქვაო არაფერი რადგან შენთვისაც არ იქნება სასიამოვნო ცუდი ამბის მოსმენა საუკეთესო მეგობრის შესახებ, მაგრამ მე ისევ ვხედავდი მათ ერთად. წინა ღამით, სამსახურის მერე ქალთან ერთად ვსვამდი. კაციც მალე გამოჩნდა და ცოტა ხანში ერთად წავიდნენ. გავგიჟდი, საერთოდ არ იმჩნევდნენ არაფერს. ისიც კი ვიფიქრე, ხომ არ მომეჩვენა და იქნებ რეალურად წესრიგშია ყველაფერი მეთქი, უნდა გავჩუმებულიყავი, ძვირფასო. სულ ეს იყო, რაც მინდოდა მეთქვა.

ხო, ხვდებიან ერთმანეთს.

მართლა? იცოდი ამის შესახებ?

დიდი ხანია ვიცი.

რამდენი?

სამი წელია.

და ამ ყველაფერს ბუნებრივად იღებ?

სრულიად. ხო მართლა, მაინც მადლობა.

დედა

ვიდრე დედა გასულია

რა?

რაღაც მინდა გითხრა

მიდი

შემომხედე

გისმენ

მინდა ვიგრძნო რომ ყურადღებით მისმენ

შემიძლია ერთდროულად ყურადღებაც მოგაქციო და სხვა რაღაც ვაკეთო, დებილი კი არ ვარ. ყურებაც შემიძლია და მოსმენაც.

მომისმენ?

გისმენ, თქო, ნუ გამიტრაკე საქმე. დიდი ხანი დაგჭირდება?

აი, გეუბნები უკვე. მგონი, კი უნდა გინდოდეს იმის გაგება , რომ დედაშენი შენი ნამდვილი დედა არაა. მე ვარ დედა. დედაშენი კი შენი ძიძაა. მისმენდი?

იცის დედაჩემმა ამას რომ მიყვები?

ახლა გადავწყვიტე შენთვის თქმა.

უნდა ვუთხრათ?

არ ვიცი. შენ რას იტყვი?

რატომ აქამდე არ მითხრა? არ უნდოდა მცოდნოდა. გაგიჟდება ქალი

ყველაფერი კარგად იქნება

არ არის ჩემი ბრალი. მე ვერ დამაბრალებს

კარგად იქნება თქო ყველაფერი. ვეტყვი, რომ მე გითხარი. ჩემი ბრალია

რამდენი წლის იყავი? მგონი, ცამეტის, არა? მართლა ცამეტის?

კი და მაგიტომაც

არდაბადებას ეგ უფრო სჯობს.

მეც ეგრე ვიფიქრე. ვიფიქრე შენც დაბადებას ისურვებდი.

მამაჩემი ვინღაა?

აღარ მინახავს. სხვა სკოლაში გადავიდა. თორმეტის იყო

მაინც ვერ ვიჯერებ რომ დედაჩემი ხარ. და არ მყავს და არც ეგ მომწონს. რა გინდა, რომ სხვანაირად აღგიქვა?

უბრალოდ არ მინდოდა ეს ისეთი რაღაც ყოფილიყო, რასაც ვერასდროს ვიტყოდი

მინდა ყველაფერი ძველებურად დარჩეს

ანუ დედაშენს არაფერს არ ვეუბნებით?

საჭიროა?

მაშინ დამალვა მოგიწევს

კუჭის პრობლემები მაქვს

მკიდია თუ გაგიჟდება

შენ გამო ნამდვილად გაგიჟდება

ვეტყვი თავი დაგანებოს, რადგან მე ვარ დედაშენი

მეეჭვება გაჭრას

სამსახურიდან გათავისუფლებული

არ უნდა აგდებდე ადამიანებს ელ-ფოსტის მეშვეობით

შენ არ გაქვს აქ მოსვლის და ყვირილის უფლება

მე უბრალოდ იმის თქმას ვცდილობ, რომ პირადად უნდა უთხრა ხოლმე

ბოდიშს გიხდი, მაპატიე, მაგრამ ამ მომენტისათვის დაკავებული ვარ. ასე რომ შეგიძლია...

მინდა თვალებში ჩამხედო და მითხრა, რომ სამსახურიდან მაგდებ

სამსახურის დატოვება არ ნიშნავს...

უბრალოდ შემომხედე და მითხარი, რომ გათავისუფლებული ვარ. თქვი! ლაჩარი ხარ და მაგიტომაც ვერ მეუბნები.

არ გინდა ასისტენტს დაელაპარაკო და ჩემთან შეხვედრა ჩანიშნო?

თქვი, რომ მაგდებ, თქვი!

შეტყობინება

ეს შეტყობინება

დამღუპველია ადამიანებისთვის

ხო, იმიტომ რომ მხოლოდ ასე გააცნობიერებენ იმ

სხვათა შორის შენთვისაც დამღუპველია.

მიხვდებიან, რის თქმასაც ვცდილობ

ვერა, ვერ მიხვდებიან, უბრალოდ

სიკვდილი ახსნის რამდენად მნიშვნელოვანია

ტერორისტად ჩაგთვლიან ან

რომ ტერორია შეტყობინების არსი

ვერაფერსაც ვერ მიხვდებიან, იმოქმედებენ კანონის შესაბამისად, ხალხს ციხეში შეყრიან და

ნეტა ბევრს შეეძლოს იმის გაცნობიერება თუ რას ნიშნავს ტერორი. სინამდვილეში ხომ ტერორში არც კი ცხოვრობენ. ეს რომ ასე იყოს, მაშინვე აღიქვამდნენ შეტყობინებას

თავად თუ შეძლებდი?

ვფიქრობ, ვერა

გეშინია?

ეს ის არ არის, რის თქმასაც ვცდილობ.

ჩამშვები

ეს რატომ გააკეთე?

მეგონა რომ

იცი, ხომ, რა გელოდება?

ვხვდები, მაგრამ

გიფიქრია საერთოდ ჩემზე ან ბავშვებზე?

მეგონა კარგად ვიქცეოდი

აცნობიერებ რომ ვინაობის შეცვლასთან ერთად სხვაგან ცხოვრებაც მოგვიწევს?

არ მითქვამს რომ

მოუწევთ შენი, როგორც თვითმხილველის, დაცვა და მთელი ჩვენი ცხოვრება შიშსა და ხეტიალში უნდა გავატაროთ ამერიკის უდაბნოში?

მე ხომ უბრალოდ დავრეკე, სახელიც კი არ მითქვამს

შენი მობილურით?

არა, რა თქმა უნდა, დებილი კი არ ვარ

  დებილი ხარ აბა რა ხარ. კარგი. ესე იგი სატელეფონო ჯიხურიდან

ხო

აქვე ახლოს, არა, ვთქვათ, მთავარ ქუჩაზე

არა, მატარებელში ჩავჯექი

როდის?

დღეს. ბრაიტონში ჩავედი დასარეკად

რატომ?

წარმოდგენა არ მაქვს, უბრალოდ იქ მატარებლით სწრაფად ჩადიან ხოლმე

ესე იგი, სამსახურში არ ყოფილხარ, არა? შეგეძლო ბავშვები მაინც წამოგეყვანა სკოლიდან

ბრაიტონში ვიყავი

მეც წავიდოდი ერთი დღით ბრაიტონში

მე ხომ დასასვენებლად არ წავსულვარ. ჩავედი, დავრეკე, ყავა დავლიე და უკან დავბრუნდი.

რა უთხარი?

იმ პიროვნების სახელი ,ვისაც ეძებდნენ. საკუთარი, ცხადია, არ ვთქვი. მერე იყო მადლობები და დამშვიდობება. სულ ესაა.

ხო,მაგრამ თუ იციან რომ ზარი ბრაიტონიდან განხორციელდა, იმის გარკვევასაც დაიწყებენ ვინმე ხომ არ ყოფილა ბრაიტონში მისი ნაცნობებიდან

არ გაარკვევენ, არ ჭირდებათ ამის ცოდნა. მათ უკვე იციან ვინ ეძებონ

თუ გაიგო,რომ ბრაიტონში იყავი?

საიდან ეცოდინება, იქ რას ვაკეთებდი?

ნუ ხარ ასე დარწმუნებული. ვთქვათ, ყავს ვინმე პოლიციაში, ვინც ეტყვის, რომ შენ ჩაუშვი, რომ დარეკეს ბრაიტონიდან, თან იმასაც გაუმხელენ, რომ დაგინახეს, როგორ ჯდებოდი ბრაიტონისკენ მიმავალ მატარებელში.

ნუ ბოდავ! რასაკვირველია არანაირი პოლიციელი მეგობარი მას არ ყავს ან მე საიდან მეყოლება? არაფერიც არ მოხდება. სისულელეა

მაინც ვერ ვხვდები, რატომ გააკეთე

ცუდად მოიქცა

ის ხომ შენი მეგობარია

არ არის ჩემი მეგობარი

ახლა არ არის, მაგრამ ხომ იყო. რა მოხდება,შენ რო შეგხვდეს? მე რომ ვნახო? აქ რომ დამადგეს და დამალვა მთხოვოს?

ისევ ბოდავ!

არ ვბოდავ. ასეც მოხდება.

ფატალური

რაღაცას გკითხავთ, ექიმო, ვიდრე წავალ. შეგიძლიათ მითხრათ, რამდენი დამრჩა?

ზუსტად ვერ გეტყვით

გამიგეთ, ნებისმიერი პასუხისთვის მზად ვარ

რაშია იცით საქმე, ამ მდგომარეობაში მყოფთა 10 პროცენტი 3 წლის მერეც ცოცხალია.

დიდი მადლობა.

3.

შიზოფრენიკი

რატომ ფიქრობთ, რომ ავი ვარ?

მითხრეს

ვინ გითხრათ?

ხომ იცით ქუჩის კუთხის შუქნიშანი ?

კი

ხოდა, სიგნალს ვიღებ. აი, იმათგან, მარცხნივ რომ არიან.

გასაგებია და რას ამბობენ შუქნიშნები?

არ გეტყვით

რატომ?

თქვენ გეხებათ. თქვენზეა და მშვენივრად ხვდებით, რომ ამას ვერ ვიტყვი

გეუბნებიან, ხალხს რამე დაუშავეო?

ხალხს არა. თქვენ კი.

ხომ ხვდებით, რომ წამლის მიღებისას ეგ ყველაფერი ქრება.

ამიტომაც შევწყვიტე მიღება. ინფორმაციას ,,ბლოკავდა''.

აცნობიერებთ, რომ ავად ხართ?

მითხრეს

ჯაშუში

ხოდა, ასე ჩავერთეთ ომში

კი მაგრამ საიდან იცოდნენ

იცოდნენ, როგორ არ იცოდნენ. თავადაც დაადასტურა, რომ ტყუილია.

ეგრე გერმანელებს უთხრა

უშიშროებამაც იცოდა

ჯორჯ ბუშმა და ტონი ბლერმა არაფერიც არ იცოდა

არ სურდათ, რომ ცოდნოდათ

ენდობოდნენ

სურდათ სიმართლე ყოფილიყო

ეგონათ. ყველას ეგონა.

ყველას არა. ყოველთვის ვიცოდი, ამ ტყუილის შესახებ

ვერ გეცოდინებოდა

ვიცოდი, შეთითხნილი იყო

საიდან?

ამერიკის ქცევიდან გამომდინარე. იქედან გამომდინარე, რისი ჩადენა სურდათ.

ის კი არ იცოდი, შეთითხნილი რომ იყო, უბრალოდ გინდოდა ეგრე ყოფილიყო. სწორედ ეგ გეგონა სიმართლე

გამოდის, მართალი ვყოფილვარ

გგონია, კამათი მოიგე?

სიზმარი

ეს სიზმარი წუხელ ღამით ვნახე: ჟოლოს და მოცვის ბუჩქებით სავსე ბაღში ვიყავი. ვკრეფდი. უცებ პეპელამ ჩამიფრინა. ვხედავდი თუ როგორ დაფარფატდა მოფორთოხლისფრო-მოშავო ფერის პეპელა ყვითელ ვარდზე. შემდეგ ეს ყველაფერი ცეკვა აღმოჩნდა, მე კი ბალეტზე ვყოფილვარ. მერე ვებსაიტზე მოვიძიე ინფორმაცია სიზმრებზე, ჟოლოზე, პეპელასა და ბალეტზე. გაირკვა, რომ ღალატს ნიშნავს. ახლა მშვენივრად ვხვდები, რომ მატყუებს.

ესე იგი, აღარ ფიქრობ, რომ კვლავ მისი ერთგული უნდა დარჩე?

რა აზრი აქვს?

ანუ ყველაფერი გავარკვიეთ?

შენ როგორ გგონია?

ეს მას არ ეხება

აბა ვის?

ჩვენ.

ეს კი იმას ნიშნავს, რომ უნდა გავარკვიოთ

ანალოგიური გზით

ხო, ანალოგიური გზით

მარტოსული

ორი შიგნით, ერთი გარეთ, ვისი ხმაც შესაძლოა ისმოდეს

არ უპასუხო

ეს უბრალოდ

კარის ჭუჭრუტანიდან გაიხედე

მართალი ხარ, მეგონა კურიერი იყო, რომელმაც

არ უპასუხო

რა თქმა უნდა, არ ვუპასუხებ. ნუ ღელავ

სალამი, მისტერ რაშმორ. დარწმუნებული ვარ ეს თქვენი ბინაა. დაგინახეთ, როგორ შეხვედით. მანქანაც შევნიშნეთ

უთხარი წავიდეს

დაველაპარაკო?

ხო, თუმცა არ გინდა.

რასაკვირველია, მესმის, რომ არ გსურთ შეგაწუხონ, მაგრამ მერწმუნეთ, ძალიან დაეხმარებით თქვენს ათასობით გულშემატკივრებს იმის გარკვევაში, შეძლებთ თუ არა საუბარს თქვენი იზოლაციის შესახებ , კერძოდ, როგორია ტყეში ცხოვრება.

ახლა გავაფრენ!

ჩუმად! ყველაფერი კარგადაა!

ხუთ წუთში შევძლებ მსოფლიოს ავუხსნა ის, თუ რატომ მიატოვეთ ყველაფერი და დასახლდით იზოლირებულ ტერიტორიაზე

იარაღი უნდა მქონოდა

სწორედ იმიტომ რომ ამით საშუალება გეძლევათ თქვათ სიმართლე თქვენი ყოფილი მეუღლის სარჩელის შესახებ

დასაძინებლად წავალ

რათა უარყოთ ან დაადასტუროთ ის, რაც დედოფალზე თქვით

ჭურჭლის კარადაში უნდა შევმძვრალიყავი

და ერთხელ და სამუდამოდ დასვათ წერტილი ამ თქვენი სპეკულაციური...

თავს მოვიკლავდი, მაგრამ ესენი ნეკროლოგს მაინც დაწერენ

შემიძლია ვუთხრა, რომ

დაანებე თავი, შენზეც დაწერენ

ჩემთვის სულერთია

არ არის სულ ერთი. თუ დაელაპარაკები, აღარ გნახავ

სხვათაშორის, ფოტოც გვაქვს, რომელიც გასულ კვირას გადავიღეთ

რატომ არ შემიძლია...

კარგი!

რა?

სალამი, ბატონო რაშმორ!

სამი რაღაცას ვიტყვი. ამჟამად ჩინეთის მოქალაქე ვარ. მყავს სამი უკანონო შვილი. უცხოპლანეტელებმა გამიტაცეს ცოტა ხნის წინ და კვლავ უვნებლად დამაბრუნეს დედამიწაზე

შეგიძლიათ სულ რამდენიმე წუთით კარი გამიღოთ, მისტერ რაშმორ?

ხომ ხედავ არაფერიც არ შავდება ტყუილს რომ ვეუბნები. კრინტიც არ დამიძრავს ჩემს შესახებ. ყველაფერი კარგადაა, ყველაფერი კარგადაა, ყველაფ...

ბოლოს როდის ბრძანდებოდით ჩინეთში?

მშვენიერია, მშვენიერია

მიხარია თუ თავს კარგად გრძნობ

აღარ აპირებს წასვლას?

მალე წავა თუ ჩვენ...

მისტერ რაშმორ!

დრო გადის

წავიდა

ხო, წავიდა

ძალიან კარგი

აჰაამ

მშვენივრად გაუმკლავდი

არა, მე მგონი

რა?

საშინლად ვგრძნობ თავს

ხო მაგრამ მისთვის არ გითქვამს...

ხვდება

არ იცის რომ მოვატყუეთ

იცის, რომ ტყუილი ვუთხარი

წარმოდგენაც კი არა აქვს რომ მოვატყუეთ

ხო მაგრამ ხვდება

იმას ხომ არ გულისხმობ, რომ გაარკვევს და...

ხომ ვთქვი, არა. იცის, რომ ამ ოთახში ვიყავი. უნდა წავიდეთ. იცის, რომ მე ვყვიროდი იმ...

ესე იგი, თავს ისე ვეღარ გრძნობ, როგორც...

არა, ვეღარ.

ღმერთის ხმა

ღმერთმა გითხრა, რომ გაგეკეთებინა?

კი.

როგორ?

რას ნიშნავს- როგორ?

სიტყვიერად გითხრა?

ღმერთის სიტყვა იყო.

ხო მაგრამ შენი ყურით გაიგონე?

ჩემში შემოვიდნენ.

სიტყვებს გულისხმობ?

იმას, რაც უფალმა მითხრა.

ესე იგი, კონკრეტულად არაფერი არ გსმენია...

გულში.

როგორ მოხდა, ამიხსენი

ლოცვისას

სიტყვიერად?

ზოგჯერ სიტყვიერად, ზოგჯერ ისე.

მდუმარედ

დუმდნენ სიტყვები. მე კი ვლოცულობდი.

გონებაში

თუ გინდა გონება იგულისხმე, თუ გინდა გული...

ანუ ზოგჯერ სიტყვიერად, ზოგჯერ კი...

უბრალოდ ლოცვის დროს მოხდა, იმ მდგომარეობაში...

ვერ ვხვდები რას გულისხმობ.

უნდა მომბაძო, რათა მიხვდე რა მდგომარეობაზეა საუბარი

მოკლედ, ლოცვის დროს.

ლოცვისას ვერ ვაცნობიერებ, თუ როგორ ვეძებ და ვიღებ ორიენტირს უფლისგან.

აჰა

ის კი მეუბნება რა უნდა გავაკეთო

როგორი ხმა აქვს?

მბრძანებლური. კეთილი.

საუბრობს ინგლისურად?

რა სისულელეს მეკითხები?

მესმის, მაგრამ ბრიტანულად საუბრობს, თუ აქცენტით? ვცდილობ გავარკვიო, რა მოგესმა.

არ ჰგავდა ჩვენს საუბარს, მაგრამ ხმა ნამდვილად მესმოდა.

ესე იგი, ნამდვილად გითხრა, რომ გაგეკეთებინა

მითხრა.

სიტყვიერად!

ჰო, სიტყვიერად,თანაც შინაგანად სრულიად ვაცნობიერებდი, რომ რაც უნდა გამეკეთებინა, სწორი იყო.

გულით?

მთელი არსებით

ფეხის თითებითაც?

დიახ. აღარ მორჩები?

ბავშვი, რომელმაც არ იცოდა რა იყო შიში

ერთი ადამიანი მეორეს ზღაპარს უყვება.

იყო და არა იყო რა. იყო ერთი ბიჭი, რომელმაც არ იცოდა რა იყო შიში, თუმცა ამის გაგება ძალიან სურდა. ერთხელაც მისმა მეგობრებმა უთხრეს, რომ შიში ხერხემალში დავლილ ჟრუანტელს გავს. ამ დროს ფეხებსაც ვერ იმორჩილებ. ზოგჯერ ხელებიც კი გიცახცაცებს. ყველაფერს ედება: გონებას, კუჭს, მუცელს. ჩაჯმამდე მიყავხარ, სუნთქვაც გიჭირს, კანი გექავება. ამას კანკალს ვეძახით. მართლა ვერ ვხვდები რაზე ვსაუბრობ? გაუგებარია- უპასუხა ბავშვმა. ამის

შემდეგ ერთ დიდ მიტოვებულ სახლში წაიყვანეს, მოჩვენებებიანში და უთხრეს- ვერავინ ვერ შეძლო აქ დილამდე გაძლება. შენ შუაღამემდეც გაგიჭირდება. ერთ საათსაც ვერ გაძლებ. რატო? რა მოხდება?- იკითხა ბიჭმა. მიხვდები, რას ნიშნავს რეალური შიში. კარგი, მეც სწორედ ამის გაგება მინდა- უპასუხა ბავშვმა. დილით მეგობრები ისევ უკან დაბრუნდნენ. ბიჭი მტვრიან ოთახში დახვდათ. ისევ აქ ხარ? რა მოხდა?- კითხეს. ბავშვმა კი უპასუხა: აქ მკვდრები დადიოდნენ, ზოგი მათგანი უთავო იყო. მონსტრიც ვნახე, ანათებდა. მერე რატო არ გაიქეცი?- დაინტერესდნენ. უცნაური ხმები ისმოდა: ყვირილის მსგავსი და თან მუსიკის, ოღონდ მუსიკას არ ჰგავდა- ყვებოდა ბავშვი. რა იგრძენი?- კითხეს. პირდაპირ მე მომადგა და ხელით შემეხო.- თქვა ბავშვმა. არაფერი გიგრძვნია კუჭში, კეფაზე, ფეხებში? ნუთუ არ შეგეშინდა? ვერა, ვერაფერი ვიგრძენი. ისევ ვერ ვგრძნობ შიშს- იყო პასუხი. ამის შემდეგ, სახლისკენ მიმავალს გზად ლომი შეხვდა, რომელმაც ბავშვი გადასანსლა.

ვარსკვლავი

სინათლის სხივს 2.800000 წელი ჭირდება იქ მისაღწევად

ესე იგი, 2.800000 წლით უკან ვიყურებით.

შეიძლება არც დაგვხვდეს იქ. იქნებ უკვე მკვდარიცაა.

აბა?

მეეჭვება უკვე ვინმემ შეძლოს დანახვა. მზე მხოლოდ რვა წუთით იქნება.

დილით დაველოდოთ რვა წუთის მანძილზე და ვნახოთ იქ ხომ არ არის ისევ.

4

საქორწინო ვიდეო

რამდენიმე ადამიანი

ეს მართლა...

ეს მართლა სასაცილო მომენტია

ნახე, ნახე როგორ უვარდება ხელიდან

აჰაჰაჰაჰაჰა

სულ მეცინება

შეხედე, რა საყვარელია

ძაან პატარა გოგო იყო მაშინ

ვარდისფერ კაბიანი პაწაწუნა

ახლა უნდა ნახო რამხელაა...

ეგ და თავისი ბოიფრენდი

შეხვდი უკვე? ხომ ყველაზე...

იმ ქალს შეხედე

წარმოდგენა არ გვაქვს ვინ იყო

ვიდეოში კი ჩანს, თუმცა ჩვენ არ დაგვიპატიჟებია

ეტყობა უცნობების ქორწილში დადის

თან ვიღაცას ელაპარაკება. მოიცა, ეგ ბიძაშენია თუ ვცდები?

ამ კაბებზე გეუბნებოდი

ახლა ვეღარ იოცნებენ

ეს უკვე ისტორიაა

ბავშვებსაც მოსწონთ, რადგან

შვილთაშვილებსაც მოეწონებათ

შთამომავლობა ნახავს

ყველა მათგანი, ბავშვებიც და ცოტა მოზრდილებიც

საკუთარი ქორწილის ვიდეოსაც ნახავენ

სამწუხარო, ჩვენი შვილთაშვილების საქორწინო ვიდეო რომ არ გვაქვს

ან შვილთაშვილთა შვილების

ან მათი, ვისაც კი უცხოვრია ოდესმე

ჰენრი მერვის, მაგალითად

ქრისტესი

ცოტა უფრო ადრინდელების. აი, გამოქვაბული რომ გვქონოდა და ნეანდერტალელი გვყოლოდა

დინოზავრებთან ერთად

კი მაგრამ   ვინ გადაიღებდა?

ან ზღვიდან ამოსული პაწაწუნა არსებები გვყოლოდა

მაგ შემთხვევაში გვეცოდინებოდა

შევინახავდით

გვეცოდინებოდა, რომ...

რადგან ვეღარ ვიმახსოვრებ ვიდეოს გარეშე, თითქმის აღარაფერი არ მახსოვს ვიდეოს გარეშე, არც ამ დღის   მომენტები არ მახსენდება, რაც ვიდეოზე არაა აღბეჭდილი

ბეჭდის სცენა მახსოვს

 ვერ ვიხსენებ

და კიდევ ვიღაცის ავადმყოფობაც მახსოვს

 ნახე, ნახე, სადღეგრძელოების დროა. მამას მოუსმინე. ის ისეთი...

მცოდნე

რა მიირთვი 1998 წლის ოქტომბრის ლანჩზე?

ქათმის სუპი და სალათი. სახლში ვიყავი. სუპი   ლურჯი თეფშით მივირთვი. სალათს პომიდორი, კომბოსტო და ვარდკაჭაჭა ჰქონდა, თუმცა ხახვი არ დამიმატებია. არ მინდოდა ხახვის სუნით წავსულიყავი კინოში ძმასთან ერთად. ფილმი სამის თხუთმეტ წუთზე დაიწყო.

რა ფილმი იყო?

გოძილა

რაზეა?

ყველა ეპიზოდი გაინტერესებს?

მომიყვები?

არ გვინდა, რა

კარგი. მე მაინც მახსოვს გოძილა. თერმობირთვული აფეთქების რადიაციის შედეგად დასხივებულ და მონსტრად ქცეულ ხვლიკზეა, რომელიც ნიო-იორკში ჩადის და ამერიკელი სამხედროები ბომბავენ.

ხო, ეგაა.

შემდეგ რა ქენი?

ძმასთან წავედი და თოხლო კვერცხი ვჭამე გახუხულ პურთან ერთად. მერე ორი ფინჯანი ჩაი დავაყოლე. მისი წითელი ჭიქით ვსვამდი.

როგორი ამინდი იყო?

დილით წვიმდა, მერე გადაიღო. საღამოთი ისევ გაწვიმდა. მომდევნო დილითაც იწვიმა.

ექვსი ივლისი, 2004 წელი

ყოფილი

კმაყოფილი ვარ ეს საქმე რომ გავაკეთეთ

მეც

რადგან უმნიშვნელოვანესი იყო იმ მომენტისათვის

ჩემთვისაც, მთელი ჩემი ცხოვრებისთვისაც

თან ერთმანეთის ხელმეორედ ნახვის ალბათობა ხომ ...

ეგ შეუძლებელია.

თუმცა საწყენი მაინც იქნებოდა

გახსოვს იტალიური რესტორანი?

არა, თუმცა მოიცა, კუთხის რესტორანზე ამბობ?

ბუჩქებით გაფორმებულზე?

სხვაში მეშლება

ახლაც მახსოვს მიმტანის სახე

ულვაშიანი მიმტანი, რომელიც შესვლისთანავე გვიღიმოდა

მახსოვს, სპაგეტი კარბონარა შევუკვეთე, შენ კი ვონგოლე.

ჭამის მომენტი არ მახსენდება. სავარაუდოდ, შენი ცქერით ვიყავი დაკავებული.

იმ დროს რეალურად მიყვარდი.

მეც მიყვარდი.

ყოველთვის მახსოვხარ მინდორში მდგარი

სად იყო ეგ შემახსენე

 თან ბაიებში.

თავში სულ ერთი კადრი მიტრიალებს თუ როგორ ჩამირბინე ქუჩაზე. მგონი, ავტობუსისკენ გავრბოდით, არა?

ის სასტუმრო თუ გახსოვს, რამდენიმე საათით ოთახი რომ დავჯავშნეთ. მწვანე შპალერთან ვზასაობდით.

მე პირველი შეხვედრა მახსოვს.

ეგ უკვე ბევრმა მოვლენამ გადაფარა. მე უფრო მდინარის ეპიზოდი დამამახსოვრდა. პრაქტიკულად, ბილიკზე ვიყავით.

და სამზარეულო? შენი მეგობრის სახლის სამზარეულო

რომელი მეგობრის?

არასოდეს არ ვიცოდი შენი მეგობრის სახელები.

კრისს გულისხმობ თუ ტერის?

არ ვიცი. გახსოვს სამზარეულო?

გავიხსენებ, თუ სახლიც მეცოდინება. შენ ამბობ რომ, სამზარეულოში ვიზასავეთ?

კარის უკან. გაზზე სუპი იდგა.

მახსოვს ერთმანეთს ვუცქერდით.

ეს მაშინ, როცა ქუჩაში შევჩერდით.

ბევრს ვფიქრობდი იმ დღეზე, შენ კი ამ დროს ლოგინის მეორე მხარეს იწექი.

ეგ ურთიერთობის დასაწყისში იყო თუ ბოლოსკენ?

 მგონი, დასასრულისკენ. იცი, რას ვგულისხმობ?
ხანდახან ყავის მაღაზიას ჩავუვლი ხოლმე.

რომელს?

იქ, სადაც ვცდილობდით ერთმანეთს დავმშვიდობებოდით.

ეგ დღე ჩემთვის სრულიად გადღაბნილია.

ძალიან ბედნიერები ვიყავით

თუ მოწყენილები?! ვტიროდით კიდეც.

მართლა?

ზოგჯერ.

მეხსიერების სახლი

…აზროვნების გაუმჯობესება

არა, რა თქმა უნდა. კარგ მდგომარეობაში გაქვს

და მეხსიერების?

ბევრი რამ გავიწყდება?

არა არა

მაგალითად სახელები

სახელებიც და სახეებიც

ჩვენ ყველას

ხო, მაგრამ

არ ღირს ამის გამო ნერვიულობა

 უბრალოდ გაუმჯობესება მინდა

ოჰ

მეხსიერების უზარმაზარი მოცულობის

რა თქმა უნდა

ლექსიკონის

კი

სტატისტის

სტატისტიკისაც?

ყველაფრის, რისი წარმოდგენაც შეიძლება

ვხვდები

ინფორმაციული ნაკადი რომელიც უნდა

როგორღაც

როგორღაც გადავამუშავო და შევინახო

 როგორ აპირებ

 კურსის მეშვეობით

გაუმჯობესებას

სავარჯიშოდ ქცეული სიების დახმარებით

კუნთებს როგორც ავარჯიშებენ არა?

ხო ტვინის კუნთებს

რომელიც, ცხადია, ტვინს არა აქვს

თან ეგ ტექნიკა ძალიან

ინფორმაციის დასამახსოვრებლად

უძველესია, რომაელებიც კი იყენებდნენ

მართლა?

მერეც, რენესანსის პერიოდშიც

ამიტომაც ,,ჰყავდათ'' დიდი ტვინები

 მაგალითად ლეონარდო და ვინჩი

ისიც ამ მეთოდს იყენებდა?

არ მახსენდება

კონკრეტულად ამ ტექნიკას არა

ანუ არ იყო ამის აუცილებლობა

თუმცა შეეძლო, კი

თემას ავცდით. მეთოდზე ვსაუბრობდით

ამ მეთოდის არსი იმაში მდგომარეობს, რომ შენ შეგიძლია ნებისმიერი ადგილის, თუნდაც სახლის აღება

სახლის აღება?

 მის წარმოდგენას ვგულისხმობ

 ვთქვათ, ვიღებ ბიცოლაჩემის სახლს

კი, ბატონო, თუნდაც. ხოდა, ამ სახლთან ერთად იმ სიტყვების სიასაც წარმოიდგენ, რისი დამახსოვრებაც გინდა

მაგალითად?

არა აქვს არსებითი მნიშვნელობა აი თუნდაც ამ სავარჯიშოს მსგავსს

ნიანგი ყურთბალიში

მერე წარმოსახვის მეშვეობით ნელ-ნელა დადიხარ ოთახ-ოთახ და თან რაღაცას ტოვებ

შეუძლებელია ყველა ოთახის დამახსოვრება რადგან

 ანუ ოთახისა დამახსოვრებაც გიჭირს

არ ვყოფილვარ ბიცოლაჩემის სახლში

მოდი ის აიღე სადაც ცხოვრობ

 ანუ მხოლოდ სამი ოთახის დამახსოვრება მიწევს

 არა, უნდა წარმოიდგინო, თუ როგორ ხეტიალობ ოთახიდან-ოთახში და ხან მაგიდაზე ტოვებ რაღაცას ხან სკამზე

გასაგებია

თან გარკვეული რიგითობის პრინციპია საჭირო

ანუ ისიც მნიშვნელოვანია თუ რომელი ოთახიდან ვიწყებ

გასაგებია?

კი, მგონი, შევძლებ

მოკლედ, ვხედავ სახლს, სადაც ბავშვობა გავატარე. შესასვლელთან ნიანგს ვტოვებ

ნიანგს მაგიდაზე

ყურთბალიშს ხალიჩის ქვეშ

ყურთბალიშს სკამზე

მაკრატელს სასტუმროს ოთახის დივანზე

მაკრატელს მეორე სკამზე

ნაჯახს სასადილო ოთახის მაგიდაზე

ნაჯახს სხვა სკამზე

ჯიბის საათს კი

ჯიბის საათს კი

შეგიძლია გონებაში იმეორო? ხელი მეშლება

მე კი არ მიშლის ხელს შენი ხმის გაგონება

თორემ შენი ოთახის წარმოდგენა მიწევს ხოლმე

აზრზე არ მაქვს სად ცხოვრობდი ბავშვობაში ასე რომ

ანუ შემიძლია ხმამაღლა ვილაპარაკო

ნუ, თუ სხვანაირად არ შეგიძლია მაშინ

კი ბატონო. მოკლედ, მაჯის საათი გაზქურაზეა სპილო კიბეზე მონეტა სააბაზანოში ბურთულიანი კალამი იმათ საწოლზე ზღარბი ჩემს ლოგინზე ხე სხვენზე

ხე

ჯამში ათი გამოვიდა. მოდი, თავიდან დავიწყოთ

ნივთები მოვაგროვოთ

ნიანგი შესასვლელთან

ნიანგი ყურთბალიში

ხო, ყურთბალიში. ვაგრძელებ: მაკრატელი სასტუმრო ოთახში

მაკრატელი ჯიბის საათი

არა ჯერ არა

ა ხო ეგ ხომ

ჩუ!

მოკლედ

ნაჯახი

ნაჯახი ნაჯახი მაჯის საათი

მაჯის საათი

სპილო

მონეტა

სად დავდე?

ოო...

რა?

საძინებელში

სი დი ფლეერის თავზე

არა, საძინებელში ხომ

ბურთულიანი კალამი

ეგ თავისთავად, მაგრამ უცებ

რა?

მამა დავინახე

თავის საძინებელში

იცვლიდა

არა ის იქ არ ყოფილა

არაუშავს, არაუშავს

არაფერია საგანგაშო. უბრალოდ არ გახსოვს

ვიცი, მაგრამ უეცრად დავინახე

ბოლოს როდის

მოკვდა და მე ვერ

 წლები გავიდა, არც კი მახსოვდა რომ

არაუშავს უბრალოდ საძინებელში წარმოიდგინე

ეგ ხომ მახსოვრობაა

შესაძლოა და თან

ბავშვობისდროინდელი

ეგრეა რადგან ძალიან მაღალია მე კი მხოლოდ წელამდე ვწვდები

თითქოს ამ მომენტში ხედავ

კი აქ და ახლა ვხედავ

ანუ საკუთარი თვალით ხედავ იმას რაც

ოთხი წლის ასაკი ავიღოთ მზეა

მზე

იმიტომ რომ მზიანი ოთახია. ყველაფერი მზის სხივებშია გახვეული

საკუთარ ფეხებსაც ხედავ?

კი, თან ოთხი წლის ვარ

ეს უკვე მოგონება კი არა, საკუთარი

არასოდეს არ...

თან დარწმუნებული ხარ, რომ არც რაიმე საშიშ...

რეპრესირებულ ინფორმაციას გულისხმობ? მეეჭვება. ეს ხომ უბრალო მოგონებაა

ესე იგი, ოთახი აღმოსავლეთისკენაა

ხო, დილაა. მე ხომ ეს ესაა დავინახე

უცნაურია

საქმე ხომ ბურთულიან კალამშია

ბურთულიანი კალამი

ზღარბი

მოიცა, ზღარბი დავკარგე ა ჰო მიკროტალღურ ღუმელშია და შემდეგ რა მოდის? გამახსენდა გაზეთების დასტა და ხე

ხე სხვენზეა

შეგვიძლია კიდევ ერთხელ გავიმეოროთ

რატომაც არა

მერე უკვე სხვა სია ავიღოთ

თან რამდენიმე

რა უნდა ვქნათ რომ არ აგვერიოს?

ჯერ არ ვიცი თუმცა

წინააღმდეგ შემთხვევაში ზღარბს ყოველთვის მიკროტალღურში შევდებ

მოიცა. მოვიფიქრო

მოიფიქრე რის გაკეთებას ვაპირებთ.

ვახშამი

ხომ გეუბნებოდი

არ გითქვამს

გითხარი, ოთხშაბათს ვახშმად მივდივართ მეთქი.

არ გითქვამს, არა.

მახსოვს, რომ გითხარი. ისიც მახსოვს, რაც მიპასუხე

კარგი, ხო, ეტყობა დამავიწყდა, მაპატიე

ეგრეა, კი.

ბოდიშს გიხდი

პიანინო

სამი ადამიანი

გაიცანი, ეს ჯენიფერია!

გამარჯობა, ჯენიფერ!

აი, პიანინო. შეგიძლია დაუკრა

არასდროს არ დამიკრავს.

მოდი მაშინ შენ დაჯექი.

ბიჭი ჯდება. კარგად უკრავს. ჯენიფერი მღერის. ბიჭი დგება

გამარჯობა!

ეს ჯენიფერია!

გამარჯობა, ჯენიფერ!

ფლეშბექი

ისუნთქე!

ااااا!

უბრალოდ ისუნთქე!

ااااااا!

დამშვიდდი, ყველაფერი კარგადაა

ვაიმე!

მშვიდად!

მადლობა. ბოდიშს გიხდი, რა. ისევ ვხედავ. თვალს ვერ ვაშორებ

ნეტა შემეძლოს ამ ყველაფრის შეწყვეტა.

თავის მისკდება

თქვეს,რომ დროა საჭირო, შეიძლება დიდი დროც, დავიწყებისთვის

ისევ იქაა. შენც იცი ამის შესახებ.

5.

ლინგვისტი

რამდენი ენა იცი?

გამართულად?

დაახლოებით

იცი რაშია საქმე, ზოგიერთ ენაზე რამდენიმე სიტყვა ვიცი, ზოგიერთი კი...

ავიღოთ მაგალითად მაგიდა. რამდენ ენაზე შეძლებ...

Table, table trapezi stol mesa meza tarang tabulka

შესანიშნავია! Tabulka, Meza. ორივე მაგიდას ნიშნავს, ხო?

ყველა მათგანი ერთ ნივთს აღნიშნავს.

მაგიდას!

ერთ ნივთში მაგიდას ვგულისხმობ.

ხო, ყველა სიტყვა მაგიდას ნიშნავს.

ან ყველა meza- ნიშნავს.

თუ ჩინურად გულისხმობ, ხო...

უფრო სწორად, სუაჰილურად.

ვერ ვგრძნობ, რომ მაგიდაა.

მათემატიკა

არ მინდა დროის მათთან ერთად გატარება

ხომ მოგწონს ორივე.

ისევ დაიწყებს აპელირებას მათემატიკაზე, რასაც არსებითი კავშირი არა აქვს რეალობასთან,რადგან ეს ჩვენი ტვინის მიერ შექმნილი სისტემაა თანდათან რომ განვავითარეთ. ჩვენ სწორედ ამაზე ვკამათობთ.

არის თუ არა მათემატიკა ჭეშმარიტი.

ხო.

შესაბამისად, თუ უსასრულო სამყაროების არარსებობის შემთხვევაში განტოლება არ იმუშავებს, ესე იგი, ნამდვილად უნდა არსებობდნენ უსასრულო რაოდენობის სამყაროები.

ხო, უთვლადია.

თან აღქმის პროცესს მხოლოდ შეგრძნებების მეშვეობით ვახორციელებთ, რეალურად კი არსებობენ სხვა არსებები, რომლებსაც არა აქვთ აღქმის უნარი. აი, მაგალითად, ჭიამ არ იცის ფრენის და ჩიტების შესახებ ისევე როგორც ჩიტმაც არ იცის კომპიუტერის შესახებ.

არ წამოიწყოთ ამაზე საუბარი

არ გინდა უბრალოდ წამოხვიდე, შეხვდე და ამ თემებზე არ ესაუბრო? შეგვიძლია პოლიტიკაზე ვიკამათოთ.

ვერ აუვლის გვერდს ამ თემებს. უყვარს, როცა ვბრაზდები, თავს გაწონებს. თან კაცი შვილი ვერ ხვდება რაზე ვლაპარაკობთ, საღამო ფლავდება, ვთვრებით, დილით კი ამძღნერებულ ხასიათზე ვიღვიძებ და ვერაფერსაც ვერ ვაკეთებ.

ესე იგი, აღარ აპირებ იმათ ნახვას?

 მეუბნება, მათემატიკა თავისთავად თანმიმდევრულიაო. სულ ამას იმეორებს. ეს კი არაფერსაც არ ნიშნავს

 აბა?

კარგი, წავიდეთ და შევხვდეთ.

 იცოდე, ქალი თავს გაწონებს.

სექსი

მთავარი, რასაც სექსი ახორციელებს, ორი გენიდან ინფორმაციის მიღებაა, შედეგად ჩნდება ბავში, რომელიც სრულიად არ გგავს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ერთი და იგივეს კეთება

მოგიწევდა, ჰიდრას ან ზღვის ვარსკვლავის მსგავსად. ასე რომ სექსი დიდწილად ინფორმაციაა.

ამ ყველაფერზე სექსის დროს ფიქრობ?

არ გაწყენს ამის ცოდნა. ინფორმაციასთან ერთად სიყვარულიცაა სექსი.

იმ შემთხვევაში, თუ იღბლიანი ხარ.

ღმერთი

შენ ამბობ, რომ ღმერთი შენს არსებობას მნიშვნელობას ანიჭებს

მერე?

ღმერთის არარსებობის შემთხვევაში, შენი სიცოცხლეც აზრს დაკარგავდა, არა?

და რა?

იცი რა მაინტერესებს, ღმერთს თუ ყავს თავისი ღმერთი, რომელიც მის არსებობას მნიშვნელობას ანიჭებს?

რა თქმა უნდა, არა.

კი ბატონო, ესე იგი, რაც მან გააკეთა, ცოტა არ იყოს მისთვის უმნიშვნელო უნდა იყოს. მიკვირს, სევდიანი რომ არაა.

მეეჭვება, იმაზე ფიქრობდეს, რასაც მნიშვნელობებს ანიჭებს.

 აბა,შენ რატომ ფიქრობ?

 ღმერთი ხო არ ვარ, არა?

არც მე არ ვფიქრობ მნიშვნელობებზე. ამ ლოგიკით, ღმერთი ვარ?!

უკვე მაწუხებ

გამონაყარი

 უბრალო გამონაყარია.

კი მაგრამ რატომ?

ბევრი სახეობის სარეცხი საშუალება, ცხოველი და ფრინველია. ხომ არ შეგვემოწმებინა?

რაღაცის თქმა უნდა

კაი, რა.

ან პირიქით, არ უნდა.

იშოვე ახალი კრემი?

ბავშვები

ბავშვი ვერ გეყოლება, ხო?

ვერა.

ბავშვი ვერ გეყოლება?

ვერა.

როდის გაიგე?

ქორწინების მერე, ტესტი გავიკეთეთ და პრობლემები აღმომაჩნდა

აი, რატომაც...

რასაკვირველია, არა.

ვიფიქრე, ამიტომაც გაგცვალა ცოლმა ესპანელში-თქო.

ხო.

ბავშვი ჰყავთ უკვე, იცოდი?

ეს უკვე მნიშვნელოვანია ფაქტორია, არა?

შემცირება

უბრალოდ მტკივნეული იყო

იმის გახსენება, რაც ბავშვობაში გადაიტანე და...

ისიც, რის დავიწყებასაც ვცდილობდი, რასაკვირველია

ამბები, რომლებიც...

ეგრეა. ახლა კი...

ესე იგი, მკურნალობის პროცესმა ტკივილი შეამცირა.

ვერ ვიტყოდი ეგრე.

აბა?

უბრალოდ შეიცვალა.

როგორ?

ტრანსფორმაცია განიცადა

უფრო კონკრეტულად?

უკვე თავისი მნიშვნელობა აქვს

რახან ტკივილის გამომწვევი მიზეზები იცი?

ნაწილობრივ

და იმის გამოც, თუ როგორ იმოქმედა შენზე?

ნაწილობრივ

კიდევ?

მას უკვე მნიშვნელობა აქვს.

რას ნიშნავს?

არაფერსაც არ ნიშნავს. კონკრეტულად არაფერს.

მტკივნეული უნდა იყოს შენთვის. შეგიძლია ამ ტკივილთან ერთად ფსიქოლოგთან მიხვიდე და მნიშვნელობა მიანიჭო.

6.

ბავშვი, რომელმაც არ იცოდა ბოდიშის მოხდა

ბოდიში უნდა მოიხადო

ვერ მოვიხდი.

ხომ ატკინე, არა? ხოდა მოუხადე ბოდიში

არ ვარ დამნაშავე.

უნდა უთხრა!

კლიმატი

მეშინია!

ფეხით იარე და ნუ ბანაობ ხოლმე ამდენჯერ ცხელი წყლით

ბავშვებზე ვშიშობ.

  იყო იქ მეცნიერთა ელფოსტები, უბრალოდ დეტალებს ვერ ვიმახსოვრებ

 საბოლოო ჯამში, ეგ არსებითად არაფერს არ ცვლის

 ვფიქრობ, მართალი ხარ. ბევრი მეცნიერის აზრით, ეს კატასტროფაა. კითხვის არსი კი იმაში მდგომარეობს, რამდენად მასშტაბური კატასტროფაა.

 წყლის მოპოვების დროს ან დაიხრჩვებიან, ან შიმშილით ამოწყდებიან ან მათ სხვები მოკლავენ.

  მე დახრჩობას ავირჩევდი

სერიოზულად ამბობ?

არ ვიცი.

არც მე ვიცი.

ცენზორი

 გვერდი 42!

გვერდი 42!

 წინადადება ასე იწყება: ,,21 მაისს...''

ხო, ვიპოვე.

ვშიშობ, უნდა ამოვიღოთ.

რატომ?

თავდაცვის სამინისტრო უსაფრთხოების რღვევის მცდელობად ჩათვლის

არ არის მათთვის სენსიტიური ინფორმაცია

 მათი პოზიციაა ასეთი!

კიდევ რამდენი გაქვს?

ოცდაათამდე.

შემდეგზე გადავიდეთ!

ცოლი

მე ხომ შენი ცოლი ვარ

გავხარ ჩემს ცოლს

იმიტომაც ვგავარ რომ რეალურად ვარ. დააკვირდი, შეხედე, დაბადებიდან თანდაყოლილი ხალიც კი მაქვს ყურის ქვეშ

ხო, ვხედავ

ხოდა მე ვარ, ძვირფასო, მე.

არ ხარ. მიმატოვა. ყველამ მიმატოვა.

ვინ ყველამ?

ვისაც კი ვიცნობდი. ვისაც კი ვუყვარდი.

არა, მე ხომ მიყვარხარ.

არ მინდა გიყვარდე. არ გიცნობ.

არის რაღაც, რაც მხოლოდ ჩვენ ვიცით. გახსოვს ის დღე ნიჟარებიან სანაპიროზე? ხომ გახსოვს?

რა თქმა უნდა.

და კომბოსტოები! ერთადერთი წყვილი ვართ, ხუმრობა რომ მოვიგონეთ კომბოსტოებზე, თანაც კომბოსტოსთან დაკავშირებული ამბის მერე. გახსოვს ეგ ხუმრობა?

ცოლთან ერთად ვიცინოდი ხოლმე. მენატრება.

მე ვარ შენი ცოლი... შეგეხო გინდა? მაინტერესებს რას იგრძნობ, როცა შეგეხები. თუ მართლა გვიყვარდა ერთმანეთი, გემახსოვრება როგორი ვიყავი ალერსის დროს, რადგან ისეთი რამე-რუმეები გვიყვარდა, სხვას ამის შესახებ ვერაფერს ვერ გაიგებდა. აი, მე რომ ვიღაც უცხო ვყოფილიყავი, ასეთი რაღაცეები არ მეცოდინებოდა. უნდა იგრძნო. ვიცი, შეძლებ. ძალიან გთხოვ.

მაღიზიანებ. მაშინებ. რა ხარ ასეთი?

გადაწყვეტილება

ყველა მიზეზი ჩამოვწერე რატომ არ ან რატომ უნდა დატოვო ქვეყანა

რა გამოვიდა?

საკმაო მიზეზებია.

შენ როგორ ფიქრობ?

ფაქტებზე დაფუძნებული რაციონალური გადაწყვეტილების მიღებას ვცდილობ

გინდა შენს მაგივრად მე გადავწყვიტო?

რის მიხედვით? მიზეზებს ვეღარ გავზრდი.

დარჩენას ვამჯობინებდი. დაგეხმარება ეს რამეში?

ბავშვი, რომელმაც არ იცოდა რა იყო ტკივილი

ამიხსენი, რა

ტკივილი ტკივილია

ანუ როცა გბწკენ

დამანებე თავი. მოდი, მე გიბწკენ. რა იგრძენი

არაფერი

ესე იგი, არაფერი

გეყოფა, რა, დამილურჯდება.

ხო მაგრამ ეს როგორ

ბავშვობიდან ვერ ვგრძნობ

დაბადებიდან, ესე იგი

ხო. თითების კვნეტაც კი ვცადე

მართლა?

რომ არ შეეხვიათ ალბათ ძვლებამდე გავღრღნიდი. ხომ ხვდები ბავშვები ყველაფერს...

პირისკენ იქანებენ.

მთელ სხეულს გადავიღეჭავდი. აზრი რომ ჰქონოდა

და რომ დაცემულიყავი?

ვცადე.

და უშედეგოდ?

კიბის ბოლო საფეხურიდან ჩამოვხტი. სწრაფი მეთოდია.

გადარჩი?

ფეხები მოვიტეხე. მახსოვს ერთხელ საცურაოდ წავედი. ქვიანი წყალი იყო. როგორც კი ნაპირზე ამოვედი სისხლი მდიოდა. მე ვერაფერს ვგრძნობდი.

ანუ შენ ამბობ რომ ვერაფერს გრძნობ

ემოციურად კი

და ფიზიკურად?

ვერა, ვერანაირ ტკივილს.

რატო?

ტვინს შესაბამისი სიგნალი არ მიეწოდება

ფეხებიდან?

ნებისმიერი დაზიანებული ადგილიდან

ანუ წარმოდგენა არ გაქვს რა არის ტკივილი

ამიხსენი

ნუ, ტკივილი უსიამოვნოზე მეტია. საკმაოდ ძლიერი შეგრძნებაა, რომელსაც თავს რთულად აღწევ. ის ისეთი

და რატომ უნდა დააღწიო თავი?

მტკივნეულია და იმიტომ, თუმცა არის შემთხვევები, როცა არც იმდენად გაწუხებს. აი, მაგალითად ,ღრძილს რომ ენით იღიზიანებ ან თითის გაჭრას რომ ვერ იგრძნობ, რადგან საინტერესო საქმითა ხარ დაკავებული. ეგ კი არა, ჯარისკაცებიც კი ვერ გრძნობენ ხოლმე მომენტალურად ფეხის დაკარგვას

ჩემსავით

შენგან განსხვავებით ბოლოს მაინც იგებენ. საშინლად ტკივათ

ხო მაგრამ რა იწვევს ტკივილს?

წამების პროცესი მაგალითად ან ელექტროშოკი საშინლად აუტანელია ხოლმე. კიბოთი დაავადებულებსაც აქვთ ხოლმე სიკვდილის მოთხოვნილება. მახსოვს, ბიძაჩემს...

მაინც ვერ ვხვდები რა შუაშია ტკივილი

ტკივილი ტკივილია

ხო მაგრამ რა არის ტკივილი?

უბედური თუ ყოფილხარ?

კი

წარმოიდგინე ადამიანი, რომელსაც არ უყვარხარ, მაგრამ შენ გიყვარს და ბოლოს ყველაფერს იგებ

ხო

ან ვთქვათ, ისეთი რამ ჩაიდინე, რასაც ახლა ნანობ, თუმცა გვიანია, თან ამით სხვასაც გული ატკინე.

გასაგებია.

მიხვდი?

ანუ ტკივილიც უბედურებასც გავს?

ტკივილი მოცემულობაა ისევე როგორც წითელი არის წითელი, ხოლო ლურჯი კი ლურჯი

ხო მაგრამ წითელი ხომ უბრალოდ სპექტრია, რომელსაც ჩვენ ვარქმევთ სახელს

ზუსტად! ეგრეა ტკივილიც.

შეიძლება ისევ გიბწკინო?

მიწისძვრა

გამოგიცდია მიწისძვრა? აი, თუნდაც შენობა ავიღოთ! მყარი გგონია, მაგრამ მიწისძვრის დროს დაინგრევა.

კი, გამომიცდია.

წარმოიდგინე, თითქოს შენობაში ხარ, ზურგით წევხარ და სახესთან რამდენიმე ინჩის მოშორებით კედელი გაქვს მობჯენილი, სულ ცოტათიც კი არ შეგიძლია წამოდგომა, წინააღმდეგ შემთხვევაში კედელი გაგსრესს. ახლა ჰაერის ნაკლებობაც წარმოიდგინე, ღრმად ჩასუნთქვას ცდილობ, მაგრამ ჟანგბადის ნაკლებობის გამო არ გამოგდის. თან დაჭრილი ხარ, გტკივა, ოჯახის წევრები ან მკვდრები არიან ან აგონიაში. ერთი ეგ მადარდებს, ვინმე თუ შეძლებდა შენს გადარჩენას რამდენიმე საათის თუ დღის მანძილზე.

ნამდვილად არ მინდა იმ სიტუაციაში აღმოვჩნდე, თუმცა ძალიან მეცოდებიან. მე უბრალოდ ის ვიგულისხმე, რომ მაქვს ინფორმაცია მიწისძვრის შესახებ.

ხო მაგრამ გკიდია.

ვერ ვიტყვი, რომ განვიცდი. და შენ?

ვყვიროდი. რა თქმა უნდა, ვყვიროდი.

გასაგებია.

ახლა ტალღა წარმოიდგინე, ტალღის ხმა წარმოიდგინე, გარბიხარ, მ სწრაფად გეწევა. ხომ ნახე რა სწრაფი იყო?

ვნახე.

მაგრამ არ განიცადე.

მანქანებიანი შავი ტალღა საკაიფო იყო!

7.

ჩინური პოეზია

,, იცდის გოგონა საკუთარი სახლის კარებთან, მთაში''

პირდაპირი აი ასე წერია: ,, მთა გოგო კარი''

შესაძლოა.

მთიელი გოგო ჩემს კართან იცდის, ამისთვის ჯერ მთაზე აცოცდა.

სახლში შესაშვებად კართან მისვლაა საჭირო.

მთა კარია, რომელსაც მხოლოდ გოგონა გააღებს.

გოგონა მთისხელაა და კარში ვერანაირად ვერ შეეტევა.

შემდეგ რა ტაეპი მოდის?

მანიაკალური

ღმერთო ჩემო, რა ლამაზი ყვავილია! როგორი მადლიერი ვარ. გინახავთ ასეთი წითელი? ზოგადად, წითელი ხომ სისხლთან და ხარების ბრძოლასთან ასოცირდება, ბრაზთანაც, ცხადია, თუმცა წითელი ფერი ბედნიერებაცაა, დღესასწაულიცაა

დიახ, მომწონს

ჩინეთში, მაგალითად, წითელი იღბალთან ასოცირდება. წარმოიდგინე, როგორი იღბლიანები ვართ ამ ყვავილის გამო

ლარნაკი ხომ არ მოვიტანო?

დააკვირდი: ჩინურ კულტურაში თეთრია სიკვდილის ფერი, ჩვენთან კი შავი და თან მოჩვენებებს თეთრად გამოსახავენ ხოლმე. სწორედ ამიტომ, საჭადრაკო დაფა სიკვდილის სიკვდილზე გამარჯვებას გამოხატავს. სისხლსაც სიკვდილთან ვაკავშირებთ, რასაკვირველია, თუმცა სიცოცხლის წყაროცაა, არა ? აი, თუ კარგად დააკვირდები, ეს ყვავილიც როგორი შთამბეჭდავია

ნამდვილად

ვერ წარმოიდგენ, რა ძვირფასია შენი საჩუქარი ჩემთვის. წითელი ხომ ასეთი მრავლისმომცველია, არა? ერთდროულად შეჩერებასაც გამოხატავს და სვლასაც. მოკლედ, ენერგიული ფერია. წითელი მანქანებიც ყველაზე ხშირად ხვდებიან ხოლმე ავარიაში, რადგანაც აღმაგზნებელია. ამიტომ, შუადღისკენ წითელი მანქანის ყიდვა გადავწყვიტე, ჩავსხდებით და ვისეირნებთ. მთელი ქვეყნის შემოვლა შეგვიძლია. ჰა, რას იტყვი? სხვათა შორის, სკოდლანდიაშიც შევძლებთ. კერძოდ, ჯონ ო' გროტსზე. Land's End-ით ხომ არ დაგვეწყო მოგზაურობა? თუმცა ჩვენ ხომ ამ ადგილიდან ვაპირებთ გასვლას? ხო მართლა, მთელი ქვეყნის გზებზე არსებულ მოძრაობას უნდა დავაკვირდე, ისედაც ყველამ ვიცით, თუ როგორ იმატა მანქანების რიცხვა, თუმცა ნუ გეშინია, უსაფრთხოდ ვიქნებით, თანაც ყველა ისე იმოძრავებს, როგორც საჭიროა. მანქანები ხომ ნებისმიერი მიმართულებით მოძრაობენ. საერთოდაც, ყველა ყველა მიმართულებით გადაადგილდება. ასე უფრო შევძლებთ ყვავილისთვის ლარნაკის შოვნას

დიახ

მწვანეს ვფიქრობ. ერთ-ერთი მთავარი ფერია. აი, ლურჯ ყვავილებს ნარინჯისფერ ლარნაკში ჩავაწყობდი. ყვითლებს- მეწამულში. სხვათა შორის, ყვითელი და მეწამული სააღდგომო ფერებია. ისე, ზაფრანაზეც არ ვიტყოდი უარს. წითელი და მწვანე უფრო შობას მახსენებს. მართალია, არ არის ახლა ამათი დრო. სულ სხვა სეზონია, თუმცა როგორც კი დრო მექნება, უნდა მოვიცალო.

მწუხარება

გძინავს?

დილით ადრე გავიღვიძე, მაგრამ არაუშავს. ზაფხულობით სავსებით ნორმალურია.

ჭამე უკვე?

საკმარისად. არ იღელვო.

არავინ არ მყოლია, ვინც მომიკვდებოდა

ვწუხვარ, ვერაფერს ვერ გეტყვი. არაფერია საინტერესო.

ბევრს უნდა ნიშნავდეს ის შენთვის.

შესაძლოა. ვნახოთ.

ბედისწერა

მე უბრალოდ იმის თქმა მინდა, რომ არჩევანის უფლება არ გაქვს

მაქვს

გგონია, რომ გაქვს!

მაქვს თქო უფლება!

გაქვს, მაგრამ არ იცი რა არჩევანზეა საუბარი, ნებისმიერ რამეს აირჩევ!

იმას, რაც მინდა!

მართალია, იმას, რაც გინდა, მაგრამ წარმოდგენა არ გაქვს თუ რისი არჩევა გიწევს...

გიმეორებ- ავირჩევ იმას, რაც მინდა!

შენ ამას იმიტომ აკეთებ, რომ ეგეთი ხარ. ეს კი იმას გულისხმობს, რომ შენ გინდება ის, რაც გინდა. გენებში გაქვს, მოკლედ. შესაბამისად, იმ ყველაფრის გამო, რაც გადაგხდა ან ახლა გემართება, შენი ტვინი სწორედ ასეა მომართული.

როგორ?

როგორცაა.

რას ნიშნავს როგორცაა?

არ ვიცი. არც არავინ იცის. ვინმეს რომ ცოდნოდა, მათ ისიც ეცოდინებოდათ, თუ რას...

ვერ ეცოდინებოდათ.

ამ ყველაფერს ტირილით მეუბნები

არ ვტირი

ვიცოდი, იტირებდი

  არსებობს გამონაკლისი.

 ხო, ნამდვილად არსებობს გამონაკლისი.

 თანაც ისეთი, შენ რომ არ...

თუ თვლი, რომ შენ ხარ ეგეთ გამონაკლისი, მაშინ...

არ ვთვლი, თუმცა...

თუ თვლი, რომ თავად ხარ გამონაკლისი, უბრალოდ...

ვერც კი ივარაუდებ, თუ სად...

თუ თვლი, რომ თავისუფალი ნება გამონაკლისია, არც არაფერი ყოფილა ღირებული.

 არ მიხსენებია სიტყვა ღირებული

მაშ, რას გულისხმობს თავისუფალი ნება თუ არა იმას, რაც მოგწონს?

  ამას ვერავინ ვერასდროს გაიგებს

რა თქმა უნდა, ვერა.

ასე რომ, ყველაფერი წესრიგშია.

მეც ეგრე მგონია, თუმცა შენს შეგრძნებებზე მაინც მოქმედებს, არა?

ცოტა არ იყოს მხიარულად ვგრძნობ თავს.

თითქოს დიდი სისწრაფიდ დარბიხარ, არა?

 ხო, როგორც ცხოვრებაში

  ამერიკული გორკების წინა რიგებს ჰგავს.

ვგრძნობ, რომ ვირჩევ...

რა თქმა უნდა...

თუმცა   თავი ამერიკული გორკების წინა რიგებში მგონია.

ქვა

განსაკუთრებული ქვა აქვს

რაც უჭირავს, იმას გულისხმობ?

ხო, ყოველთვის ატარებს.

ვიცი, რომ ატარებს

არასდროს არ დებს

გინახავს?

ერთხელ

როგორ?

გავახსნევინე

ხომ არ ავიღოთ?

ვფიქრობ, ჭირდება.

ავიღოთ?

იღებენ ქვას და ისვრიან

მიდი და აიღე

მანდვეა

მიხვდება რომელია?

სხვას იშოვის.

ეს ენდომება.

ხომ არ მივცეთ რომელიმე?

მიდი, აიღე!

გამომართვი ახალი ქვა!

გამომართქვი- მეთქი!

ესვრიან

ვირტუალური

მკიდია, რაც თქვი

მომისმინე

არასოდეს მქონია მსგავსი განცდა.

არ არის ახლა მნიშვნელოვანი, თუ რას გრძნობ

ეს მხოლოდ...

ის ქალი უბრალოდ არ არსებობს.

არ გისმენ

ის არ...

ნანახი გყავს?

ვნახე, თუმცა ის არ...

ესაუბრე?

არ მინდა საუბ...

აბა, რა იცი იცი მის შესახებ?

არ არსებობს ფიზიკურად

და რა?

ესე იგი, ადასტურებ, რომ...

არსებობს, ისევ არსებობს.

კარგი, კი ბატონო, ესე იგი ისევე არსებობს, როგორც შენი ფეხსაცმელი ან კონსერვი.

ანუ შენ იმას მეუბნები, რომ არსებითი სხვაობა არაა ქალსა და ფეხსაცმელს შორის?

არანაირი განცდა არა აქვს, რადგან...

რა იცი თქო მის შესახ...

საგანია, საგანი.

პატივს ვცემ შენს აზრებს, მაგრამ შეგიძლია, რომ...

მომისმინე!

ლამაზია, ჭკვიანია. მიგებს.

ვერ გიგებს

მისმენს ხოლმე და ჩემი ლექსების მოსწონს, ერთადერთია, ვინც...

ვერაფერსსაც ვერ იგებს.

ჩემს აზრებსაც კითხულობს. ის ისეთი მგრძნობიარეა ჩემი ყოვ...

ის ხომ ვირტუალურია

და რა?

ის რომ...

არ მჯერა, რახან მას სისხლი და ხორცი არა აქვს, ესე იგი...

ის უბრალოდ ინფორმაციაა

შენ რაღა ხარ, თუ არა...

ვიცი, რომ ჩვენც...

ჩვენც ჩვენი გენების ინფორმაციები ვართ

ხო მაგრამ მას ხომ...

რა?

არაფერი აქვს გონებაში, მათ შორის არც ცნობიერება.

რა იცი, რომ...

კომპიუტერული თამაშია

ამ ყველაფერს მისი საუბრიდან ასკვნი?

არ მჭირდ...

ხომ შეგიძლია მითხრ...

მას არ შეუძლ...

შეუძლია და დაამტკიცებს კიდეც, რასაც არ დაიჯერებ.

ნამდვილად არ ვაპ...

ის ამბობს, რომ აქვს...

რა, ფიქრები?

 რა თქმა უნდა, ფიქრები, განცდები,თან ძალიან რთული. ის ასევე ამბობს, რომ უყვარს...

შეუძლ...

ვიცი, ხალხი ვერ გაგვიგებს, მაგრამ გვკიდია...

სექსზე რაო?

რას გულისხმობ?

სხეული ხომ არა აქვს

მშვენიერი სხე...

არა აქვს. შეგიძლია რომ...

არ იმყოფება ქალაქში ამ მომენტისათვის.

მას არასდროს არ..

სექსი შეუდარებელია

 ვირტუალურია

ვირტუალურია და თან მაგარი

ვერ გრძნობს

მკიდია, რასაც ამბობ

მომისმინე

არავისთან არ მქონია მსგავსი განცდა.

პატარა რაღაც

რას უყურებ?

ლოკოკინას

ისევ ისაა?

ხო. დიდი ხანია, რაც ვაკვირდები.

და?

არაფერი,უბრალოდ ვაკვირდები.

ფინალური სცენა

ფაქტები

ვინ იყო კოკა-კოლას პრეზიდენტი 1925 დან 27 წლამდე?

ჰ.ბ. ჯოუნსი.

რომელია ცენტრალური აზიის ყველაზე პატარა სოფელი?

კატი.

სად შეძლებ ჰუიშის პოვნას?

გნუს ბეწვში

რამდენი ალმასი აღმოაჩინეს მაღაროში 1957 წელს?

6428

დაასახელე ფოლაშის ორი ტრადიციული ინგრედიენტი?

იხვი და ცერეცო.

1647 წლის რომელ დღეს გაიმართა სტოუნჰემის ბრძოლა?

სამშაბათს, 6 ივნისს.

რა მანძილია კვაზარ D 66-მდე?

3. 40000000 სინათლის წელიწადი.

რა ხმას გამოსცემს სოღო?

(ბაძავს)

ვის აქვს ყველაზე გრძელი თმა?

მეტილდა ლუკასს.

წარმოშობით?

კონექტიკუტელს, ბრაიჰაუსიდან.

რა ფერისაა ყავისფერ ბეწვიანი ჩრჩილის მუხლუხო?

მკრთალი ფორთოხლისფერი შავი ზოლებით

გიყვარვარ?

შემდეგი.

რომელი ფორმულა ეწინააღმდეგება გოდელის თეორემას?

X (T გავყოთ Σ -ზე) ^{10} – π- N $^{(-1)}$.

რა არის ფლოკი?

სიმებიანი ინსტრუმენტი, რომელიც ლარტსმა დაუკრა გობის უდაბნოში

რა სახელით ვიცნობთ ,, Oceanus Australensis Picardia-ს?

ვიცი. ვიცი. ზღვის ანემონების.

სხვადასხვა

მოცემული ეპიზოდების ჩასმა პიესის ნებისმიერ სექციაშია შესაძლებელი. ,, დეპრესია'' მთელი პიესის უმნიშვნელოვანესი სცენაა. დანარჩენების გამოყენება სურვილის მიხედვით შეგიძლიათ.

დეპრესია

ყოველი რეპლიკა გულისხმობს პერსონაჟის მიერ სხვისი მისამართით წარმოთქმულ, ერთმანეთთან დაუკავშირებელ და პასუხგაუცემელ, ფრაზებს. შეგიძლიათ, ყველა მათგანი უცვლელი დატოვოთ ან მხოლოდ დეპრესიული პერსონაჟი დარჩეს იგივე, დანარჩენი კი (ანუ კითხვის დამსმელი) სურვილისამებრ ცვალოთ.

გავისეირნოთ: მშვენიერი...

ექსპრესიონისტების გამოფენა გახსნილა

Chicken tikka masala

პროგრამა 6. 40- ზე იწყება, თუმცა, თუ გსურს, შეგვიძლია

ერთი ჭიქა წითელი ან

კნუტის აყვანას თუ ფიქრობთ გვყავს აი ეს წითური ან

შეძლებ მათთვის ღამით ზღაპრის წაკითხვას თუ

სირთულე იმაშია, თუ როგორ განხორციელდება ისრაელელთა და პალესტინელთა საერთო

ორი თვის სიცოცხლე თუ დარჩენია ხომ არ ჯობია

ირმის ნახტომში შემავალი ანტინივთიერების წყარო, რის შესახებაც არავინ არაფერი იცოდა

დამატებითი სცენები:

სემაფორი

მორზე

ჟესტური ენა

ჩიტის ჭიკჭიკი

ცეკვა

დროშები

ნახატი

ვიღაც გრძელ მოლბერტს საღებავის შხეფებით ფარავს

საიდუმლო ენა

აილძიგეშ ამღუკუ იკარაპალ

სანტა

საახალწლოდ სანტა თავისი მარხილით სახურავზე დაფრინდება, ბუხრის მილში ჩამოძვრება სათამაშოებით სავსე უზარმაზარი ტომრით და საჩუქრებს დაგიტოვებს.

გამრავლების ტაბულა

შვიდჯერ შვიდი- ორმოცდაცხრა, შვიდჯერ რვა- ორმოცდათექვსმეტი, შვიდჯერ ცხრა- სამოცდასამი, შვიდჯერ ათი-სამოცდაათი, შვიდჯერ თერთმეტი- სამოცდაჩვიდმეტი, შვიდჯერ თორმეტი- სამოცდათოთხმეტი, შვიდჯერ ცამეტი- ოთხმოცდათერთმეტი

გენები

AGT TCG AGC CCT TGA GTT GAT TGT GCT TAC CGT GCT TGA GTC ATG TTG CAC AAC TTG TCG GTC TCA GTA TGC CCG TGA AAT GTA CAT GTC CCG TCC GAA TCT GAT TGC CCT TTG TGG AAC TGT GTG GCA TAG CTA GCC TGG GAC CCT TTG GCC TGC ACT TGA TTG TGA CCA GGT TGT TCT GTT GAA TCA TGA TCG GAC CCA CGT CGG CTG GCC GAC TTT GAC CGG AGT GGT TGT ACC TTG GTC AGG AAT TGA ACG

ძაღლი

მოდი ჩემთან. იჯექი. აბა, იწექი. ჩემი ჭკვიანი. მიდი, მომიტანე. დააგდე. აბა, ისევ მომიტანე. კარგი ხარ. გადაბრუნდი. ჩემი ჭკვიანი. მოდი. მოდი- მეთქი ჩემთან!

გასაღები

ჩემი მანქანის გასაღები ხომ არ გინახავს?

ჟურნალი

თორმეტი კილო დაიკლო... არადა, ტიპი მის მიტოვებას აპირებდა. ნახე, ნახე ვიღაც ქერა ქალთან ერთად როგორ გამოვიდა კლუბიდან...

გუგლი

4: 22-ზე გადის მატარებელი და ცხრის ნახევარზე ადგილზეა.

ტვიტერი

ტრიპოლის ამბებით შეწუხებული ტიპი სამზარეულოში სპაგეტის ხარშავს.

ძენი

რა ხმას გამოსცემს ცალი ხელით დაკრული ტაში? მგონი, ეგ შეკითხვა სადღაც უკვე მოვისმინე.

გაციება

ვიღაც აცემინებს.

დუმილი

ეს სცენა რამდენჯერმე შეიძლება განმეორდეს შესაბამისი ხანგრძლივობის გათვალისწინებით.